

შეთანხმება №1

ქ. თბილისი

31 მაისი 2017 წ.

ერთის მხრივ, შპს „საქართველოს მელიორაცია“, („შემსყიდველი“) მისი გენერალური დირექტორის არჩილ ბუკიას სახით და მეორეს მხრივ, სსიპ „საფინანსო-ანალიტიკური სამსახური“ მისი სამსახურის უფროსის მოადგილის გიორგი ბაბაკიშვილის („მიმწოდებელი“) სახით, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანი

- 1.1 შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის 2016 წლის 26 დეკემბერს გაფორმებულ N218-16 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში შემსყიდველსა და და მიმწოდებელს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება:
- 1.2 ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.1 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„7.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს: საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი ან/და კანცელარიის სამსახურის უფროსი“.

საფუძველი: საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსის ელდარ გვიანიძის მოხსენებითი ბარათი შ-5767 (19/05/2017).

2. შეთანხმების მოქმედების ვადა

- 2.1 მხარეები არსებითად ერთანხმებიან შეთანხმების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარ შეთანხმების ოქმი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.
- 2.2 წინამდებარე შეთანხმება მოქმედებს მასზე ხელის მოწერის დღიდან.
- 2.3 შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა შორის 2016 წლის 26 დეკემბერს გაფორმებული N218-16 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. შეთანხმების ოქმი თან ერთვის ხელშეკრულებას და მოქმედებს მასთან ერთად.
- 2.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.

„შემსყიდველი“
შპს „საქართველოს მელიორაცია“


არჩილ ბუკია
გენერალური დირექტორი

„მიმწოდებელი“
სსიპ „საფინანსო-ანალიტიკური სამსახური“


გიორგი ბაბაკიშვილი
სამსახურის უფროსის მოადგილე

